ქუთაისის
უნივერსიტეტი

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში

2020 წლის საანგარიშო
პერიოდი

შინაარსი

აღწერა 2

სამუშაო პროცესების ზოგადი შეფასება 2

მონიტორინგის შედეგების მიმოხილვა 3

- სტრატეგიული მიმართულება 1 3
- მატერიალური რესურსის განვითარება 3
- სტრატეგიული მიმართულება 2 4
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება 4
- სტრატეგიული მიმართულება 3 5
- სასწავლო პროცესისა და სამეცნირო კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა 5
- სტრატეგიული მიმართულება 4 9
- მართვა და ადამიანური რესურსების განვითარება 9
- სტრატეგიული მიმართულება 5 10
- სტუდენტთა მხარდაჭერა და სტუდენტური სერვისების განვითარება 10
- სტრატეგიული მიმართულება 6 12
- უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება და ბრენდის განვითარება 12
- სტრატეგიული მიმართულება 7 14
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება და მართვის პროცესში გამოყენება 14

დასკვნა 15

აღწერა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და მის შესაბამისად გაწერილი წლიური სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშს 2020 წლის საანგარიშო პერიოდის მანძილზე.

მონიტორინგის მიზანია უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით მოახდინოს სტრუქტურული ერთეულების მიერ სამოქმედო გეგმით გაწერილ ამოცანათა შესრულების ხარისხის შეფასება, სამუშაო პროცესში იდენტიფიცირებული ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, მათი ასახვა მონიტორინგის ძირითად მიგნებებში. ძირითადი მიგნებებიდან გამომდინარე რეკომენდაციების მომზადება.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად განსაზღვრული იყო შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

1. მატერიალური რესურსის განვითარება;
2. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება;
3. სასწავლო პროცესისა და სამეცნირო კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
4. მართვა და ადამიანური რესურსების განვითარება;
5. სტუდენტთა მხარდაჭერა და სტუდენტური სერვისების განვითარება;
6. უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება და ბრენდის განვითარება;
7. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება და მართვის პროცესში გამოყენება

სამუშაო პროცესების ზოგადი შეფასება

2019 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა გარემოებები, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა 2020 წლის საანგარიშო პერიოდის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, კერძოდ, 2020 წლის სამოქმედო გეგმაში მოხდა იმ ღონისძიებების გათვალისწინება, რომლებიც ვერ შესრულდა 2019 წელს. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ 2020 წელი საკმაოდ რთული წელი იყო არამარტო ქუთაისის უნივერსიტეტისთვის არამედ ქართულ საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ინსტიტუციებისთვის. ქუთაისის უნივერსიტეტმა დროულად შეძლო პანდემიით გამოწვეული წინაღობებისა და სირთულეების დაძლევა და სწრაფად დანერგა სწავლების თანამედროვე ელექტრონული სისტემები. სასწავლო პროცესი განხორციელდა დისტანციური ფორმით. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულმა და აკადემიურმა პერსონალმა აჩვენა პროცესებში ჩართულობის მაღალი დონე. ფაქტიურად ერთი დღითაც არ შეფერხებულა სასწავლო პროცესი და მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული სტუდენტების მოთხოვნები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით.

მონიტორინგის შედეგების მიმოხილვა

სტრატეგიული მიმართულება 1.
მატერიალური რესურსის განვითარება

ამოცანა 1. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მათი სტანდარტების შესაბამისად მოწყობა

- მატერიალურ - ტექნიკური ბაზის ზრდა და ხარისხობრივი გაუმჯობესება (სასწავლო აუდიტორიების, ადმინისტრაციული სივრცის, საკონფერენციო დარბაზის და სველი წერტილების მოწესრიგება; ლაბორატორიებისა და ოსკის სადგურების განვითარება, რაოდენობრივი ზრდა.)
    - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაზრდის სამუშაოები, სასწავლო აუდიტორიების ტექნიკით და ახალი ავეჯეთ უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის სამ სართულზე გარემონტდა სველი წერტილები. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები გადანაწილდა ერთ სივრცეში. უნივერსიტეტში მოეწყო და სრულად აღიჭურვა ოსკის 8 სადგური.
- კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოების გაახლება
    - საანგარიშო პერიოდში კომპიუტერული ტექნიკის ინსტალაცია დასრულებულია, თუმცა ვინაიდან ქსელის უსაფრთხოება დინამიური პროცესია მომდევნო წლებშიც იქნება საჭირო გარკვეული განახლებითი სამუშაოების წარმოება.

ამოცანა 2 საბიბლიოთეკო რესურსის განვითარება

- საბიბლიოთეკო სივრცის გაფართოება
    - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაიწყო საბიბლიოთეკო სივრცის გაფართოების სამუშაოები, განახლდა და ახალი ავეჯით შეივსო საბიბლიოთეკო სივრცე, ასევე მოხდა ბიბლიოთეკის აღჭურვა ყველა შესაბამისი ტექნიკური საშუალებით. ბიბლიოთეკას დაემატა ერთი სართული.ამჟამად უნივერსიტეტში ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს ორ სართულზე, რომელიც ერთმანეთს უკავშირდება შიდა კიბით.
- საბიბლიოთეკო ფონდების განვითარება, მათ შორის ინგლისურენოვანი უახლესი სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურით
    - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იდენტიფიცირდა უნივერსიტეტის (ტურიზმი, ბიზნესის ადმინისტრირება, ფინანსები, სამართალი, დიპლომირებული მედიკოსი) საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის საჭიროება და განხორციელდა

შესაბამისი ქართული ასევე ინგლისურენოვანი სამედიცინო და სასწავლო ლიტერატურის შეძენა.

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაყრდნობით ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზის განვითარება
    - საანგარიშო პერიოდში განახლდა ხელშეკრულება საბიბლიოთეკო კონსორციუმთან, რომელიც საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომის მოპოვების გარდა თავის თავში მოიაზრებს და გულისხმობს ქვეყნის მაშტაბით მოქმედ ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობას საბიბლიოთეკო დოკუმენტთა გაზიარებასა და ა.შ.
    - განხორციელდა მთლიანი საბიბლიოთეკო ფონდის ასახვა ელექტრონულ მართვის პროგრამაში Openbiblio. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა საბიბლიოთეკო მომსახურება განხორციელდეს ელექტრონულად. პროგრამა საშუალობას იძლევა მოხდეს საფონდო ერთეულთა გაცემა, მიღება, დაჯავშნა და ა.შ.
- საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის გაფართოვება
    - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განახლდა ხელშეკრულებები საქართველოს საბიბლიოთეკო კონსორციუმთან, ასევე Riserch4life“- თან, რომელთაგანაც შეძენილი გვაქვს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების სხვადასხვა პაკეტზე წვდომა.

სტრატეგიული მიმართულება 2.
საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

ამოცანა 1. არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

საგანმანათლებლო პროგრამების განახლება აკრედიტაციის სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად და მათი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა:

- საანგარიშო პერიოდში მოხდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განახლება აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებისა და შიდა მექანიზმების შესაბამისად და განახლებული პროგრამის პაკეტი წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
- საანგარიშო პერიოდში მოხდა ფინანსების სამაგისტრო პროგრამის განახლება, და მისი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა.
- საანგარიშო პერიოდში მოხდა საბუღალტრო აღრიცხვის სამაგისტრო პროგრამის განახლება აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებისა და შიდა მექანიზმების შესაბამისად. კვლავ გრძელდება პროგრამაზე მუშაობა, ვინაიდან

მას 2 წლიანი პირობითი აკრედიტაცია ჰქონდა მინიჭებული. შესაბამისად 2022 წელს უნდა მოხდეს მისი რეაკრედიტაცია.

- ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განახლებული მეთოდოლოგიის, ავტორიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად შეფასება და განვითარება.
    - საანგარიშო პერიოდში მოხდა ავტორიზაციის რეკომენდაციების შიდა მექანიზმების და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის განახლება და დაგეგმილია პროგრამის წარდგენა აკრედიტაციისთვის მომავალი წლის საანგარიშო პერიოდში.
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის განახლებული მეთოდოლოგიის და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შეფასება და განვითარება.
    - საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის განახლება აკრედიტაციის სტანდარტების და შიდა მექანიზმების გათვალისწინებით, დაინიშნა პროგრამების ახალი ხელმძღვანელები და მოხდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განახლება. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციაზე გატანა იგეგმება მომდევნო საანგარიშო პერიოდებში.

ამოცანა 2. ახალი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განვითარება:

- შრომის ბაზრის კვლევის შესაბამისად საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის შემუშავება
    - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ განხორციელებულა ბაზრის კვლევის შესაბამისად საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის შემუშავება. თუმცა კვლავაც აქტუალურია აღნიშნული პროგრამის შემუშავება,რომელიც გადაიწევს 2021 წელს.

სტრატეგიული მიმართულება 3.
სასწავლო პროცესისა და სამეცნირო კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

ამოცანა 1. სასწავლო პროცესის გაუმჯობესება

- შიდა საუნივერსიტეტო სტუდენტური ბაზის შექმნა და განვითარება
    - საანგარიშო პერიოდში ქუთაისის უნივერსიტეტში დაინერგა შიდა საუნივერსიტეტო სტუდენტური ბაზა. სადაც დარეგისტრირებულ იქნა ყველა აქტიური, სტატუს შეჩერებული სტუდენტი და კურსდამთავრებული, ბაზაში იქნა აღრიცხული მათი პირადი ინფორმაციები, ბრძანებები, აკადემიური მოსწრება, სასწავლო ბარათები, ყველა სასწავლო კურსი და სასწავლო ცხრილები. ბაზა იძლევა

აკადემიური რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობას, ასრულებს საინფორმაციო ფუნქციებს, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ბაზის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ გამოკითხვებში.

- ელექტრონული სწავლების პლატფორმის დანერგვა (Google Classroom/Moodle ან სხვა)
    - საანგარიშო პერიოდში, ფაკულტეტზე სასწავლო პროცესი უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, აკადემიური პერსონალის ჩართულობით სრულად გადავიდა ონლაინ რეჟიმში. Google Classroom-გამოყენებით.
    - სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვისათვის, ჩატარდა სტუდენტების კვლევა ახერხებდნენ და სურდათ თუ არა მათ ონლაინ სასწავლო პროცესში ჩართვა, შევადგინეთ კითხვარი (ონლაინ სასწავლო პროცესის კვლევა), სადაც სტუდენტებს ვთხოვეთ დაეფიქსირებინათ პოზიცია, ონლაინ რეჟიმში სასწავლო პროცესის გაგრძლებასთან დაკავშირებით.
    - საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტექნიკური აღჭურვილობის კვლევა, სადაც სტუდენტებისგან გვაინტერესებდა, რა სახის პრობლემები ექმნებოდათ ონლაინ სასწავლო რეჟიმში მუშაობისას შესაბამისად მოხდა ყველა პრობლემაზე რეაგირება და გადაწყვეტა.

- პლაგიატის ამომცნობი პროგრამის შეფასების პროცესში ფართო გამოყენების უზრუნველყოფა
    - საანგარიშო პერიოდში აკადემიური პერსონალისთვის შეიქმნა პლაგიატის პროგრამაში შესასვლელი ინდივიდუალური იუზერები, რომლის საშუალებით აკადემიურ პერსონალს შეუძლია გაატაროს პლაგიატის პროგრამაზე სხვადასხვა სტუდენტური დავალებები, განხორციელდა ონლაინ ტრენინგი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის StrikePlagiarism-ის გამოყენების შესახებ. განხორციელდა სასწავლო პრორგამების სილაბუსების განახლება (პლაგიატის ამომცნობი პროგრამის გამოყენების შესახებ ინფორმაციის დამატება).
- საჯარო და კერძო დაწესებულებებთან დადებული მემორანდუმების რაოდენობის ზრდა და არსებულის შენარჩუნება.
    - საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები 24 საჯარო და კერძო დაწესებულებასთან.
- მედიცინის მიმართულებით, პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობის არეალისა და ხარისხის ზრდა.
    - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაფორმდა ინტერვენციული და გადაუდებელი კარდიოლოგიის ასოციაციასთან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი.
- სამედიცინო კლინიკური ბაზების რაოდენობის გაზრდა.

    - საანგარიშო პერიოდში მოხდა სამედიცინო კლინიკასთან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება. (10 მემორანდუმი).

ამოცანა 2. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარება

- ეკონომიკის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაფუძნება და განვითარება.
    - ინსტიტუტის დაფუძნება განხორციელდება 2021 წელს.
- რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“ განვითარება.
    - საანგარიშო პერიოდში ჟურნალის ზოგიერთი ნომრის ელექტრონული ვერსიის არარსებობის გამო (2006-2010 წლის ნომრები) მოხდა მათი სკანირება/გაციფრულება და ატვირთვა ვებგვერდზე;
    - მომზადდა და გამოვიდა სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „ეკონომიკური პროფილის“ მე-20 ნომერი იმ სტანდარტების დაცვით, რასაც საერთაშორისო ბაზებში ჩართვა და ინდექსირება ითვალისწინებს.
    - სრულად განახლდა ჟურნალის ვებგვერდი (http://economicprofile.org/) ორივე ენაზე (ქართული, ინგლისური) და ისიც მოვიდა შესაბამისობაში იმ მოთხოვნებთან, რაც აუცილებელია ჟურნალის საერთაშორისო ბაზებში ჩართვისა და ინდექსირებისათვის;
    - ჟურნალის ყველა ნომერი განთავსდა ელექტრონული ფორმით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (ფონდი „ივერიელი“).
- უნივერსიტეტის მოწვეული და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა და სისტემატიზაცია ფაკულტეტების მიხედვით
    - საანგარიშო პერიოდში HR SOFT-ზე მთლიანად განახლდა მონაცემები "სამეცნიერო აქტივობები" ნაწილში (2015-2020 წლის პერიოდში განხორციელებული აქტივობები ეკონომიკისა და ბიზნესის, მედიცინის, სამართლის ფაკულტეტების აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ). მოხდა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა; მომზადდა სტატისტიკური ანალიზი.
- ინდივიდუალური საგრანტო კვლევითი პროექტების ხელშეწყობა
    - საანგარიშო პერიოდში აკადემიური და მოწვეული პერსონალი სისტემატურად იღებდა ელექტრონული ფოსტის საშუალებით ინფორმაციას ახალი კვლევითი გრანტებისა და სტიპენდიების შესახებ;
    - სისტემატიურად ზიარდება ინფორმაცია სხვადასხვა საგრანტო კვლევითი პროგრამების და ფონდების შესახებ;
    - განხორციელდა ორი ტრენინგი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის: 1) ქეთევან გურჩიანი "როგორ დავწეროთ კვლევითი პროექტი" (28 ნოემბერი), დაესწრო 54 აკამიდემიური/მოწვეული პერსონალი; https://www.unik.edu.ge/News/1086; 2) ვლადიმერ ლუარსაბიშვილი "კვლევა უნივერსიტეტში" (2-12 დეკემბერი), საესწრო 30-35 აკადემიური/მოწვეული პერსონალი. https://www.unik.edu.ge/News/1090
- საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება

- ➢ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ევროპის უნივერსიტეტთან ერთად ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია "სწავლების ინოვაციური მეთოდები და ტექნოლოგიური მიღწევები უმაღლეს განათლებაში"; გამოიცა აბსტრაქტების კრებული; შემუშავდა კონფერენციის ოფიციალური ვებგვერდი www.imttahe.ge

ამოცანა 3. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება სწავლა-სწავლებისა და კვლევის მიმართულებით

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გაზრდა
  - ➢ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ჩაუტარდა ინგლისური ენის ცოდნის დონის ასამაღლებელი სასწავლო კურსები. ლექციები ტარდებოდა კვირაში ორჯერ ოთხი თვის განმავლობაში.
- საერთაშორისო მემორანდუმების რაოდენობის გაზრდა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობა
  - ➢ საანგარიშო პერიოდში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი 9 უნივერსიტეტთან :
    - ➢ ჩეხეთის პრაღის ფინანსების და ადმინისტრირების უნივერისტეტი
    - ➢ ლიეტუვის კლაიპედას უნივერსიტეტი;
    - ➢ რუმინეთის ტიმიშუარას დასავლეთ უნივერსიტეტი
    - ➢ პოლონეთის დაბროვა გორნიცას დაბლიუეს ბი უნივერსიტეტი;
    - ➢ ლატვიის რიგის სტრადინის უნივერსიტეტი;
    - ➢ პოლონეთის ვისტულას უნივერსიტეტი;
    - ➢ ბულგარეთის ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტი;
    - ➢ ლატვიის ევროპული საზოგადოების შემსწავლელი ასოციაცია;
    - ➢ უკრაინის ხორტიციის ეროვნული აკადემია.

  - ➢ საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ერაზმუს პლიუსის ორი პროექტი სადაც ქუთაისის უნივერსიტეტს აქვს პარტნიორი უნივერსიტეტის სტატუსი.
    1. E-PSY პროექტი - „სტუდენტებისთვის ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრების შექმნა საქართველოს უნივერსიტეტებში"პროექტის ფარგლებში ქუთაისის უნივერსიტეტში განხორციელდება სტუდენტთა ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრის ჩამოყალიბება.
    2. „უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში“ (ROLE OF UNIVERSITITES IN THE REGIONAL DEVELOPMENT – RURD)
  - ➢ საანგარიშო პერიოდში ქუთაისის უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის მე-2 კურსის სტუდენტმა გაიარა ბულგარეთის ვარნას უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამა.
  - ➢ საანგარიშო პერიოდში რუმინეთის ტიმიშუარას დასავლეთ უნივერსიტეტმა ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გამოყო სპეციალური კვოტა

მათ მიერ ორგანიზებულ დისტანციურ საზაფხულო სკოლაში მონაწილეობისათვის, ქუთაისის უნივერსიტეტმა შეარჩია 5 სტუდენტი, რომლებმაც გაიარეს აღნიშნული კურსი და აიღეს შესაბამისი სერთიფიკატები.

- უნივერსიტეტის სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალ - „ეკონომიკური პროფილის“ საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში რეიტინგის გაზრდისაკენ მიმართული საქმიანობების განხორციელება.
    - საანგარიშო პერიოდში მომზადდა მიმართვები და შეივსო განაცხადები ჟურნალის საერთაშორისო ბაზებში სარეგისტრაციოდ, კერძოდ:
        - Crossref-ის (აშშ) (https://www.crossref.org)
        - DOAJ (Directory of Open Access Journals) - https://doaj.org/
        - ICI World of Journals global database - https://journals.indexcopernicus.com/
        - Academic Resource Index - http://journalseeker.researchbib.com/
        - Open Academic Journals Index - http://oaji.net/

სტრატეგიული მიმართულება 4.
მართვა და ადამიანური რესურსების განვითარება

ამოცანა 1. ორგანიზაციის მართვა, ადამიანური რესურსის მოზიდვა/შეფასება/განვითარება

- ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების საფუძველზე მათი პროფესიული საჭიროებების გამოვლენა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პროფესიული მასტერ-კლასების ორგანიზება და მათი შედეგების პრაქტიკული იმპლემენტაცია
    - საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების საფუძველზე მომზადებულია საჭიროებების კვლევის ანგარიში. ანგარიშის მიხედვით ადმინისტრაციულ პერსონალს ჩაუტარდა შემდეგი მასტერკლასები: MS EXCEL, ელექტორნული საქმის წარმოების ტრენინგები (Eflow), ინგლისური ენა B1 და B2 დონე, ემოციების მართვა. ასევე ადმინისტრაციულ პერსონალის თანამშრომლებს დაუფინინასდათ გარე სწავლება.
- ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის განვითარება და სრულად ელექტორნულ წარმოებაზე გადასვლა.
    - საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტი სრულიად გადავიდა საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე (E-flow).
- ადმინისტრაციული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გაძლიერებაზე მიმართული სასწავლო კურსის განხორციელება.
    - საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები ინგლისურ ენაში სადაც მოხდა ჯგუფებისთვის ინგლისური ენის B1 და B2 დონეების განსაზღვრა და შესაბამისად მათი გადამზადება, კურსები მიმდინარეობდა 5 თვის განმავლობაში და გადამზადდა 30 თანამშრომელი.

- საერთაშორისო გამოცდილების მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის მოზიდვა
    - საანგარიშო პერიოდში რიგის სტრადინის უნივერსიტეტის პროფესორ ტატიანა მურავსკასასთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ის დანიშნულ იქნა სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელად და მოწვეულ ლექტორად.

სტრატეგიული მიმართულება 5.
სტუდენტთა მხარდაჭერა და სტუდენტური სერვისების განვითარება

ამოცანა 1.სტუდენტთა მხარდაჭერა

- სასწავლო პროცესთან დაკავშირებით საკონსულტაციო სერვისების ხარისხის ამაღლება.
    - საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანა ვერ შესრულდა ძირითადი მიზეზი არის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები.
- სტუდენტებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების გაცნობის მიზნით.
    - საანგარიშო პერიოდში შემოდგომის სემესტრის დასაწყისში 5-დან 9 ოქტომბრის ჩათვლით უნივერსიტეტის I-IV კურსის სტუდენტებთან ონლაინ რეჟიმში გაიმართა საინფორმაციო კვირეული, სხვადასხვა კურსის სტუდენტებს შეხვდნენ უნივერსიტეტის ვიცე რექტორი აკადემიური მიმართულებით, ფაკულტეტის დეკანი, იურიდიული სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის, საგამოცდო ცენტრისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები. შეხვედრისას სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია უნივერსიტეტის განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ, კერძოდ: ეთიკის კოდექსის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესის, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესისა და საბიბლიოთეკო რესურსის ეფექტურად გამოყენების შესახებ. შეხვედრის ფარგლებში ხაზი გაესვა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მნიშვნელობას და სტუდენტებს განემარტათ ის შედეგები, რასაც გამოიწვევს აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევა
- სტუდენტური თვითმმართველობის და სტუდენტრუი ინიციატივების გაძლიერების ხელშეწყობა.
    - საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანა ვერ შესრულდა, ძირითადი მიზეზი არის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები.

ამოცანა 2. სტუდენტების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა

- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის პიროვნული და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე მიმართული ტრენინგ კურსების საჭიროების კვლევების ჩატარება.
    - ➢ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის პიროვნული და პროფესიული უნარ-ჩევების განვითარებაზე მიმართული საჭიროების კვლევა, კვლევის შედეგად გამოიკვეთა სტუდენტების ინტერესი და მოთხოვნა სხვადასხვა სახის ტრენინგების ორგანიზებაზე, რაც პანდემიის გათვალისწინებით ნაწილობრივ შესრულდა.
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის ტრენინგების განხორციელება
    - ➢ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მხარდაჭერისთვის ონლაინ მასტერკლასები „როგორ შევადგინოთ რეზიუმე“, და „წარმატებული გასაუბრების ტექნიკები“.
- კარიერული ინდივიდუალური კონსულტანტის/ფსიქოლოგის მომსახურების შეთავაზება
    - ➢ საანგარიშო პერიოდში სტუდენტებს გაეწიათ ინდივიდუალური ონლაინ კარიერული კონსულტაცია. აღნიშნული მომსახურებით ისარგებლა 15 სტუდენტმა.
- კურსდამთავრებულთა ქსელის განვითარება და მათი ჩართვა უნივერსიტეტის საქმიანობაშია
    - ➢ საანგარიშო პერიოდში შეიქმნა კურსდამთავრებულთა ასოციაცია, რომელიც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებთან შემდგომ კონტაქტს და ურთიერთობების გაგრძელებას, ასოციაციის მიზანია ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულების აქტიურ ჩართულობას საუნივერსიტეტო პროცესებში. სამწუხაროდ პანდემიის პერიოდში აღნიშნული ასოციაციის საქმიანობა არ გამოირჩეოდა აქტიურობით, გაიმართა 2 ონლაინ შეხვედრა სადაც განხილული იქნა მათი ჩართულობის ხარისხი და უნივერსიტეტის მზაობა მათი საინიციატივო პროექტების განხორციელბაში.

ამოცანა 3. სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა

- სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მხარდაჭერა
    - ➢ საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანა შესრულდა ნაწილობრივ, რადგან პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა გავლენა იქონიეს ღონისძიებების ჩატარებაზე. განხორციელდა მხოლოდ ორი სოციალური აქტივობა სტუდენტებმა მოინახულეს მოხუცთა თავშესაფარი და ბავშვთა სახლი, სადაც ბენეფიციარებს გადასცეს სიმბოლური საჩუქრები და მიულოცეს ახალი წელი.

- საუნივერსიტეტო სპორტული კლუბებისა და გუნდების განვითარების ხელშეწყობა
    - საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანა შესრულდა ნაწილობრივ, ჩატარდა მხოლოდ მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ნახევარ ფინალები და ფინალი. ძირითადი მიზეზი არის პანდემიით გამოწვეული პრობლემები.

სტრატეგიული მიმართულება 6.
უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება და ბრენდის განვითარება

ამოცანა 1. . სამიზნე აუდიტორიასთან პირდაპირი კომუნიკაციის დონის გაუმჯობესება და შემდგომი განვითარება - აღნიშნული მიმართულება მოიცავდა შემდეგ ღონისძიებებს:

- უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება: ვებგვერდის მუდმივი განახლება, ორენოვანი ინფორმაციის განთავსება, უნივერსიტეტის პროგრამების პოპულარიზაცია, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პერსონალის ისტორიების წარმოჩენა, ფეისბუქ გვერდის პოპულარიზაცია, ონლაინ მედიაში ინფორმაციის გავრცელება
    - საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის საინფორმაციო არხებზე მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა ამოცანების და გარე გამოწმვევების შესაბამისად საინფორმაციო რესურსების განახლება და საინფორმაციო გვერდების პოპულარიზაციისთვის ტარდებოდა შესაბამისი ღონისძიებები.

- სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში წელიწადში სულ მცირე 1 უფასო ტრენინგის/მასტერკლასის ჩატარება სამიზნე აუდიტორიისთვის.
    - საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში ჩატარდა პოდკასტების სერიები კერძოდ:
    - „როგორ ჩამოვაყალიბოთ ეფექტიანი სამუშაო ჯგუფი“ - როლანდი ბრეგვაძე სადაზღვევო საქმის სპეციალისტი ქუთაისის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.
    - „ვინ არის ქართველი“ - დავით შავიანიძე ისტორიის დოქტორი; ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
    - "უხერხული გადასახადები" - ნიკოლოზ ჩიხლაძე ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი; ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი; საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი
    - „უპირატესი შესყიდვის უფლების არსი“ - თამარ მსხვილძე ქუთაისის უნივერსიტეტის აფელირებული ასისტენტი; იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.
    - „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ - ნიკოლოზ ჩიხლაძე ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი; ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი; საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

- „ელემენტარული ფინანსები“ - მირზა ხიდაშელი ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი; ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი (PhD); ქუთაისის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული.
- „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა“ - გელა სიორდია ადვოკატი; შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ასისტენტ-პროფესორი; სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს უფროსი
- „მედია და ქალთა მიმართ ძალადობა“ -ონლაინ ტრენინგი ჩატარდა გენდერული ძალადობის კვირეულის ფარგლებში - გელა სიორდია ადვოკატი; შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ასისტენტ-პროფესორი; სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს უფროსი

- აბიტურიენტების მოსაზიდად შეთავაზებების პაკეტის მომზადება
  - საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში გამოცხადდა საზაფხულო მობილობის შეთავაზებები, რომელიც სტუდენტების საშუალო წონადი ქულის (GPA) მიხედვით ხდებოდა 30, 50 და 100 % გრანტის შეთავაზება.
  - საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა გააკეთა საგრანტრო განაცხადი, რომელიც ითვალისწინებდა 100 % სასწავლო გრანტის გაცემას ქუთაისის უნივერსიტეტის ნებისმიერ საბაკალავრო პროგრამაზე იმ შემთხვევაში თუ აბიტურიენტი მიიღებდა ეროვნულ გამოცდაში მინიმუმ 60 ნედლ ქულას.
- ARDUINO - რობოტიკის სკოლა - საზაფხულო სკოლა სკოლის მოსწავლეებისათვის
  - საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანა ვერ შესრულდა ძირითადი მიზეზი არის პანდემიით გამოწვეული პრობლემები.
- ჩინური ენის ცენტრის (კონფუცის ინსტიტუტის) შექმნისთვის დოკუმენტაციის მომზადება და ცენტრის ჩამოყალიბება.
  - საანგარიშო პერიოდში სინციანის სამედიცინო უნივერსიტეტისა და ქუთაისის უნივერსიტეტის ერთობლივმა ინიციატივამ კონფუცის ინსტიტუტის გახსნასთან დაკავშირებით ჩინეთის საერთაშორისო განათლების ფონდის მხარდაჭერა მოიპოვა. მომზადდა ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია. კონფუცის ინსტიტუტი ქუთაისის უნივერსიტეტში 2021 წლის სექტემბერში გაიხსნება და ქართველ სტუდენტებს მისცემს საშუალებას, შეისწავლონ ჩინური ენა, ჩაერთონ გაცვლით საგანმანათლებლო პროექტებში და ეზიარონ ჩინურ კულტურას. ჩინეთის საერთაშორისო განათლების ფონდი მზადაა, გამოჰყოს ადამიანური და მატერიალური რესურსი და გაუწიოს ქუთაისის უნივერსიტეტს ტექნიკური დახმარება ინსტიტუტის მუშაობისა და განვითარებისთვის.

სტრატეგიული მიმართულება 7
ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება და მართვის პროცესში გამოყენება

ამოცანა 1. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება - აღნიშნული მიმართულება მოიცავდა შემდეგ ღონისძიებებს:

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასებაზე დაფუძნებული სისტემის დანერგვა და შედეგებზე რეაგირება.
    - საანგარიშო პერიოდში ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2020 წელს შემუშავდა და დაინერგა შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო აღსანიშნავია, რომ განახლებული შიდა შეფასებების მექანიზმების გათვალისწინებით განხორციელდა შესაბამისი შეფასებები და მოხდა/ დაიგეგმა შეფასების შედეგების რეაგირებები.
    - საანგარიშო პერიოდში განხორციელებული კვლევების შედეგად გამოვლინდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან დისტანციური სასწავლო პროცესში სასწავლო პლატფორმის (Google Classroom) ეფექტურად გამოყენების ტრენინგ მოდულის ჩატარების აუცილებლობა, რომელიც განხორციელდა.
    - საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ელექტრონული სასწავლო პროცესების შეფასება სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ. კვლევის შედეგად გამოვლინდა საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიების ხელმისაწვდომობის გაზრდა, აღნიშნული რეკომენდაცია სრულიად დაკმაყოფილდა.
- სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა და შედეგების მართვის პროცესში გამოყენება.
    - საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დაინერგა შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო. საგულისხმოა, რომ განახლებული მექანიზმის მიხედვით სტუდენტთა, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა დაგეგმილია 2020-2021 აკადემიური წლის ბოლოს, კერძოდ 2021 წლის ივლისის თვეში.

დასკვნა

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შესაძლოა დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტმა მიუხედავად არსებული ახალი ამოცანების, გამოწვევებისა, პანდემიით გამოწვეული გართულებების და ახალი საკადრო პოლიტიკის გათვალისწინებით შეძლო მდგრადობის შენარჩუნება და ცალკეული მიმართულებებით მიაღწია წარმატებას. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების დიდი ნაწილი შესრულდა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდის მონიტორინგი გარკვეულ გამოწვევებს უკავშირდებოდა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი 2019-2020 წლის სამოქმედო გეგმა გაწერილი იყო კვარტალური პრინციპით, აქტივობის ვადა, ისევე როგორც რესურსები სამოქმედო გეგმაში ასახული არ ყოფილა, შესაბამისად მონიტორინგის პროცესში რთული იყო იდენტიფიცირება იმისა, თუ როგორ წარიმართა სამუშაოები თითოეული აქტივობის მიხედვით, რა ხელშემწყობი და ხელის შემშლელი გარემოებები გამოიკვეთა, როგორი იყო ჩართული სტრუქტურული ერთეულების კონტრიბუცია და რამდენად ეფექტურად განხორციელდა რესურსების ათვისება.

გამომდინარე აქედან სამოქმედო გეგმის ანალიზის პროცესმა აჩვენა, რომ არსებული სამოქმედო გეგმა საჭიროებს დახვეწას. ამასთან, მიზანშეწონილია მონიტორინგი განხორციელდეს არა წლის ბოლოს არამედ კვარტლურად, ვინაიდან დროულად გამოიკვეთოს სირთულეები, მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ნოემბერში ცვლილება განხორციელდა მონიტორინგის მექანიზმებში, რომელიც ძალაში შევა 2021 წლის იანვრის თვიდან და კვარტული პრინციპით განხორციელდება სამოქმედო გეგმის მონიტორინგი.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მოხდეს არსებული სამოქმედო გეგმის სრული შეცვლა. 2021-23 წლის სამოქმედო გეგმა მომზადდა შემდეგი სტრუქტურით:



აღნიშნული მნიშვნელოვნად გააიოლებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების აღქმას, ასევე - მონიტორინგის პროცესში ინფორმაციის შეგროვებასა და სისტემატიზაციას. შედეგად კი მონიტორინგის ანგარიშის მეშვეობით მოხდება სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული სურათის სრულყოფილი გამოკვეთა.

რამდენადაც არსებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმა ვერ ახდენდა უნივერსიტეტის საჭიროებების სრულყოფილ რეფლექსიას, მიზანშეწონილად ჩაითვალა დეტალურად გაწერილიყო სტრატეგიული დაგეგმვის, ასევე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია.

ამგვარად სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ექცევა გარკვეულ კანონზომიერებაში, რაც უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.